

1957




— მისო, უენ რატომ არ მუშაობ მოხაველის ახაღებად?
 — რატომა? ხომ გავიფონია, კაცის თავს რაც მოხავე-
 ლია, მაინც მოვაო და...

№ 15 აგვისტო თაიფისი. 1957

საბჭო

გამოცემის ფილი XXXV უბანი 2 მან.



დიდაცობის მოყვარულთა დასახმარებლად

აი დაგნიზნეს სადმე თქვენთვის შეუფერებელ, ან შესაფერ სამუშაოზე. ორივე შემთხვევაში ისეთი ნედიდური იერი უნდა მიიღოთ. როგორც ეს სამსახურში წარმატებულ ადამიანს შეეფერება. მთავარია, არ გამოგჩიეთ ზოგიერთი წვრილმანი, ე. ი. ის, რაც შეიძლება ზოგიერთმა მართლაც წვრილმანად ჩათვალოს. მაგრამ არ შეცდეთ. წვრილმანებისაგან წარმოსდგება მსხვილმანი. აბა, გაიხსენეთ, წისქვილს ხვინირიდან პურის მარცვალს სარეკელს დახმარებით თითო-ორილა ჩადის დასაფქვავად, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მეწისქვილე ფუთობით ფქვილს ატანს პატრონებს. ჰოდა, არ შეცდეთ, ასეთი წვრილმანებისაგან შეიძლება დიდი ამბავი შეგვემთხვეთ.

ამას გარდა, არასდროს თავიდან არ მოიშორეთ აზრი იმის შესახებ, რომ თქვენს დაწინაურებას ხელი შეუწყო რომელიმე ადამიანმა, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, არ უნდა შეარცხვინოთ იგი. მასაც ხომ უფროსები ჰყავს, და თქვენზე, როგორც მის მიერ დასახელებულ და დაწინაურებულ კანდიდატურაზე, პასუხს აგებს. ეს უნდა გახსოვდეთ პირველ ყოვლისა.

უნდა გამოიჩინოთ წინდახედულება და თანამდებობაზე მოხვედრის წუთიდან ყველა თქვენი უფროსის მამის სახელი დაიმახსოვროთ. აქ მეხსიერება წყვეტს ყველაფერს. თუ ეს უკანასკნელი გლალატობთ, შეიძლება უბის წიგნში ჩაიწეროთ. მაგრამ ეს ვერ გიხსნით სირცხვილისაგან, რადგან უფროსებმა ხშირად იციან ტელეფონით დარეკვა, თქვენ კი მასთან საუბარში ხელფეხშეკრულივით იქნებით, ვინაიდან მას მამის სახელით ვერ მიმართავთ. რას იზამთ, უნდა გაიჭიროთ საქმე! ჭკუას, რომ იტყვიან, წიხლი დააჭიროთ და თქვენი უფროსების მამის სახელები როგორმე დაიმახსოვროთ. უმცროსებისათვის მამის სახელით მიმართვა სავალდებულო არაა. მათ მამები ყავდათ თუ არა, ეს მათმა ხელქვეითებმა უნდა იცოდნენ. თქვენთვის ეს რა საჭიროა!

შენიშვნის სახით მინდა ასეთი რჩევა მოგცეთ: არ შეცდეთ და თქვენ უფროსებს ბატონობით არ მიმართოთ. ვინაიდან ეს ფეოდალურ საქართველოსათვის დამახასიათებელი ტერმინია. ამჟამად კი მხოლოდ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში ხარობს.

მოაწყეთ კაბინეტი უკანასკნელი მოდის მიხედვით, არაფერი დაიკლოთ. კაბინეტის უკანა ოთახში იქნებ შხაბიც როგორმე გააკეთებინოთ, რის შედეგადაც სამუშაო ოთახში ყოფნისას რული არ მოგერევით და ძილი გაგიფრთხებათ.

პირად მდივანად რაც შეიძლება ახალგაზრდა, ლამაზი ქალი შეარჩიეთ. ეს თქვენთან საქმეზე მოსულ მომლოდინე მამაკაცებს დაატკობს. სილამაზე ხომ კაცს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. საქმეზე მოსულ მამაკაცებსა და ულამაზო ქალებს რაც შეიძლება დიდხანს აცდევინეთ (ლამაზი ქალები ხშირად ატარებთ, მაგრამ დიდხანს ნუ აცდევინებთ, საშიშია პირად მდივანთან უსიამოვნება არ მოუვიდეთ).



გააფრთხილეთ პირადი მდივანი, რომ თქვენ ძალზე დაკავებული ხართ, მიღების დღეები შეამცირეთ მინიმუმამდე, ვთქვათ ორი დღე კვირაში, ხოლო მიღების საათები მკაცრად განსაზღვრეთ, ასე—ერთი, ან ორი საათით. სამი, ან ოთხი საათით მიღება თქვენს გადაღლას გამოიწვევს, ანდა იტყვიან, რომ თქვენ უბრალო ადამიანი ხართ და დიდკაცობა ვერ შეიფერება.

მიღება აწარმოეთ თქვენი პირადი მდივანის მიერ წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით, არავითარი გამონაკლისი, თუკი ამის შესახებ ზევიდან არ დაგირეკავენ, ანდა სარეკომენდაციო ბარათს არ მოგიტანენ. გამონაკლის შემთხვევაში მიღება თვეში ერთხელაც შეიძლება.

ქუჩაში შეხვედრილ ნაცნობებს თვალი მოხერხებულად აარიდეთ, ვერ შეამჩნევთ და ისინიც ჩაივლიან. აბა მეტი რა გზა ექნებათ! თუ ტანად დაბალი ხართ, რაც შეიძლება უნდა გაიჭიმოთ, ილაპარაკეთ ამპარტანულად და ძალიან ცოტა. ეს უკანასკნელი რჩევა კარგად დაიხსომეთ, იგი ერთნაირადაა საჭირო უფროსებთანაც და უმცროსებთანაც. იკითხავთ—რატომო? მოითმინეთ და აგიხსნით: თუ თქვენ ისეთ ადგილზე მოხვდით, რომლისაც არაფერი გაგეგებათ და ჩემი რჩევის მიხედვით იმოქმედებთ, დაახლოებით ერთ წელიწადს თანამშრომლები ვერ გაგიცნობენ. აი ეს რჩევა: საწარმოო თათბირებსა და სხდომებზე უნდა სდუმდეთ, არავითარი აჩქარება, ბოლომდე უნდა შეინარჩუნოთ სიმშვიდე და დასკვნის სახით წარმოთქვათ ორიოდ სიტყვა, რა თქმა უნდა, უმრავლესობის აზრი, რადგან თქვენ თქვენი საკუთარი აზრი არ გაგაჩინათ. ამრიგად, თქვენი ხელქვეითი ვერ მიხვდება თქვენს შეუფერებლობას სამუშაო ადგილისადმი, მანამ, სანამ არ განათავისუფლებენ.

როდესაც რომელიმე მთხოვნელი, იმით ბედნიერი, რომ თქვენი ნახვა ელირსა, თქვენი პირადი მდივანის მაგიდას გვერდს აუვლის, როგორც დაბრკოლებას, შემოაღებს თქვენი კაბინეტის კარს, მორჩილად შემოგხედავთ, ხოლო მისი მზერა უსიტყვოდ გაგრძნობინებთ, შეიძლება თუ არაო, თქვენ ადგილიდან სწრაფად წამოიჭერთ, ეცადეთ შუა ოთახში შეხვდეთ შემოსულს ასეთი სიტყვებით: „მობრძანდით, მობრძანდით!“ ეს იაფფასიანი უესტი თქვენ არაფერს დაგაკლებთ, ხოლო შემოსულს ათქმევინებს თავის ნაცნობებში, რომ თქვენ ბრწყინვალე მიღება გაქვთ და ყოველგვარი ადამიანური ღირსებით შემკული ბრძანდებით. თქვენი მიზანიც ხომ ეს იყო! ჩინებულად ასრულებთ უბრალო ადამიანის როლს, ყოჩაღ! მთხოვნელს უარი არაფერზე არ უთხრათ, ყველაფერს დაპირდით და არაფერი არ გაუკეთოთ.

ამით ვამთავრებ პირველ დიდაქტიკურ გაკვეთილს დიდი იმედების მომცემი ბიუროკრატთათვის. უნდა ვალიარო, რომ მათზე ბევრი დაწერილა, იწერება და დაიწერება, თუკი დამწერნი არ დაიღალნენ, ხელი არ ჩაიქნიეს და სასოწარკვეთილებას არ მიეცნენ—ჩვენა ვწერთ და ჩვენვე ვკითხულობთ.

ვიმეორებ: ვამთავრებ პირველ გაკვეთილს, რათა იგი გრძელი არ გამოვიდეს და საკითხავად მოსაწყენი არ გახდეს, რადგან ისინი, ვისთვისაცაა გაძიხნული ეს დარიგებანი, ჟურნალ-გაზეთების გადათვალთვრებით კმაყოფილდებიან. ბარაქალა მათ, მაშ ბევრი კითხვით თვალებს ხომ არ დაითხრიან!

ასეა თუ ისე, აქ მაინც წერტილი უნდა დაისვას. ვაითუ ეს შეგონება ზოგიერთი ბიუროკრატის დაპირებასავით გამიგრძელდეს.





— რატომ გვიხსამ ასე ცოტას?
— კარგი ლუდია და მინდა ცოტ-ცოტა უველას
შევახვედრო!

არაფერს არ გადავიხდი. მე ჰიპერტონიით ვარ დაავადებული და არა ვსვამ არც ერთ ჭიქა წყალს.

2. გიცნობთ მე თქვენ. არა სვამთ, მაგრამ ყოველდღე შხაპს ღებულობთ. ეს შეადგენს სულ ცოტა-ზუთას ჭიქა წყალს დღეში.

3. განა თქვენ კი არ ღებულობთ შხაპს?
2. არა, მე ვსარგებლობ მხოლოდ პირსაბანით, რადგან შხაპის მიღებისას ვცივდები.

4. აჰა, აი მე თქვენ სიტყვაზე გიქვართ! ამბობთ, ვცივდებით. თუ ცივდებით, მაშინ ბევრ ჩაისა სვამთ. რამდენ ჩაიდან წყალს ხარჯავთ?

2. თქვენ ბედავთ შედეგებს? თქვენ, რომელსაც მოგყავთ საბანაოდ ნათესავეები თქვენთან? დაე, მათაც გადაიხადონ! მე არ მსურს, რომ მათ ჩემ ხარჯზე იბანან! აი ასე! თუ თქვენ ერთ ნაწილს გადაიხადით, მე უნდა გადაიხადო ერთი მეოთხედით, რადგან მე არა მყავს არც სიძებები. არც ძმისწულები. არც ბაბუები. მე ობოლი ვარ.

3. ობოლი! სამაგიეროდ თქვენ გყავთ ორი საძაგელი ძაღლი. რომლებსაც დღეში სამჯერ აბანავებთ!

2. მე მათ ვაბანავებ ერთდღიამევე წყალში! მე გადავიხდი მხოლოდ მესამედს. თქვენ კი გადაიხადეთ ორი მესამედი რმიტომ, რომ თქვენი ნაგახი სამჯერ დიდია ჩემს ძაღლებზე. თანაც რამდენ წყალსა სვამს ის!

3. ჩემი ძაღლი წყალს არა სვამს!
2. მაშ რასა სვამს? არაყს?

3. ეს თქვენი საქმე არ არის, თქვენი ბოთლიდან ხომ არა სვამს?
2. სვამს, ძვირფასო ამხანაგო, სვამს! სვამს ჩემი ბელფასიდან! მე არ ვიმუშავე იმისათვის, რომ თქვენი ძაღლი აბაზანაში წებვირობდეს!

1. ამხანაგებო! წყალკანალტრესტის ინსპექტორი იცდის. ის უკვე მესამედ მოვიდა ფულისთვის!
2. დაე დაიკადოს! მას რა? მას ხომ არა ჰყავს არც ძაღლები, არც სიძებები. ის მარტო თავის თავზე იხდის. დაფუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას. თქვენ ან გააგდეთ ძაღლი, ან გადაიხადეთ ორი მესამედი!

3. არადა არა! მე გადავიხდი ერთ ნაწილს, ვინაიდან ჩემი ძაღლი არასრულწლოვანია. მან ჯერ ყვეფაც კი არ იცის როგორც საჭიროა.

2. მაშინ აბანავეთ მხოლოდ წვიმის წყალში!
5. წყნარად, ამხანაგებო, სად გრძნობთ თავს?
3. დიახ, რასაკვირველია, წყნარად! თქვენ არ მოგწონთ ჩვენი ლაპარაკი, რადგან თქვენი ოჯახი ვალდებულია გადაიხადოს, მთელი თანხის ნახევარი! თქვენ ყოველდღე სტუმრები გყავთ!

5. მაგრამ ჩვენ ხომ მათ საბაზანოში არ ვიღებთ!
2. სამაგიეროდ თქვენ მათ მურაბით უმასპინძლებით. ხომ მართალია?
5. ეს ჩემი მურაბაა!

2. შესაძლებელია, მაგრამ წყალი ჩვენია!
4. თუ მათ უნდათ სტუმრად მოსვლა, დაე მოვიდნენ თვითეულ სულზე საკუთ თერმოსით! გვენახეთ რალა სულელები! თქვენ იმხიარულოთ, ჩვენ კი წყალსაბომს ვაკვირდებოდეთ!
5. სამაგიეროდ თქვენ ორი ბავშვი გყავთ!

4. რა გინდათ თქვენ მაგითი თქვათ? დაე ჯანმრთელად მყავდეს ისინი! აი თქვენ ჯიბრზე მე მალე მესამეც მეყოლება.
5. გყავდეთ თუნდაც ტყუილები, მაგრამ გადაიხადეთ ფული თვითეულ ბავშვზე!

4. ბოდიში თქვენთან, ისინი ჯერ სულ პატარები არიან!
2. მაგრამ ჩვრებს რაში რეცხავთ? ნაღებში? წყალში, ამხანაგო! გადაიხადეთ!

4. თქვენ გადაგიხადოთ! განა ეს თქვენი ჩვრებია?
3. ან გადაიხადეთ, ან დახარჯული წყალი მოგვეცით!
1. ახ, თქვენ! თქვენ ხმარობთ ყველაზე მეტ წყალს. თქვენ ხომ უკვე ფილტვებშიც ჩაგიდგათ წყალი! გადაიხადეთ!

3. თქვენ გადაიხადეთ!
4. არა, მე გადავიხდი თქვენზე ნაკლებს.
5. სწორეა, თქვენ ყველანი მართალი ხართ, მაგრამ მე სრულებით არ გადავიხდი.

1. ამხანაგებო! ნუ დაეობთ ტყუილად! წყნარად! წყალი უკვე შეგვიწყვიტეს!
2, 3, 4, 5. როგორ? ნუთუ მართლა? შეგვიწყვიტეს? და ეს სწორედ მაშინ, როცა ჩვენ თითქმის შევთანხმდით!

1. ამხანაგებო! ნუ დაეობთ ტყუილად! წყნარად! წყალი უკვე შეგვიწყვიტეს!
2, 3, 4, 5. როგორ? ნუთუ მართლა? შეგვიწყვიტეს? და ეს სწორედ მაშინ, როცა ჩვენ თითქმის შევთანხმდით!

1. ამხანაგებო! ნუ დაეობთ ტყუილად! წყნარად! წყალი უკვე შეგვიწყვიტეს!
2, 3, 4, 5. როგორ? ნუთუ მართლა? შეგვიწყვიტეს? და ეს სწორედ მაშინ, როცა ჩვენ თითქმის შევთანხმდით!

1. ამხანაგებო! ნუ დაეობთ ტყუილად! წყნარად! წყალი უკვე შეგვიწყვიტეს!
2, 3, 4, 5. როგორ? ნუთუ მართლა? შეგვიწყვიტეს? და ეს სწორედ მაშინ, როცა ჩვენ თითქმის შევთანხმდით!



II. აპიანი

მოქმედება სწარმოებს მრავალბინიან სახლში. რომელსაც აქვს საერთო წყალსაბომი. მობინადრენი შეგროვილან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს თვითეულმა წყლის ფული. ოთახში ხმაური და მღვდღვარება.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოკამათეთა ვინაობა, თვითეული ორატორი აღენიშნათ მისივე ბინის ნომრით.

1. ამხანაგებო, აგერ უკვე ორი კვირაა ვკამათობთ. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ შეთანხმებას—წყალს შეგვიწყვეტენ. საჭიროა გადავიხადოთ ფული თვითეულ ბინაზე მობინადრეთა რაოდენობის მიხედვით.

2. მე არა ვარ თანახმა! ერთი მეტსა სვამს, მეორე—ნაკლებს.
3. თუ ვიხეიძმდღვანელებთ თვითეულის წყურვილით, მაშინ მე



ნან. ჯ. ლოლუაში



— ჩაიჭერი, ჩემო რამდენჯერ გოხარი, გამოცდაზე ჩაქრილი კაბით ნუ წახვალ-მეიჭე!

უკრადღება!
სპორტსაზოგადოება «ფეხბურთელი» აცხადებს მიღებას ფეხბურთის ფაკულტეტზე.

განხრები:

1. საოფრო
2. საცაბრო
3. სათამაშო
4. ერთ მებრტინდ კარში აცილებების
5. მოწინააღმდეგისათვის ბურთის ზუსტად მიწოდების
6. საეუთარი კარში შეტყლების
7. მათურების გაციენების
8. ფურნალისტიკის (განხრა მწყრინელითაივის).

წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

1. მანქანის ტარების «პრაგა»
2. რამდენითაიანი ბინა სქირდება
3. რა მარცხი მანქანა ურჩევიდა
4. ცნობა რესტორანიდან «რამდენლიტრიაინია»
5. ექიმის მოწმობა «სირბილი არ შეუძლია»
6. განათლების მოწმობა არ არის საქურო.

მიღებულთაივის უზრუნველყოფილი იქნება: ცხოვრება დილმის აგარაგერ, ზამა-სამა უფისი და საზღვარგარეთ სერბრობა.

სპორტსაზოგადოება «ფეხბურთელი»

განცხადება

დღეს, 31 აგს, საათის 8 საათიდან დღის 12 საათამდე ფინიციურზე — იმის შემდეგ, რაც კანდა რაგულ ზველა შეუძრებია აკადემიის საჯარო სტადიონზე დილოსოფორ მეც ნორეზგია კანდე სარბის მისამართზე დაიწყეს დისტრტაქის თმაზე.

«ცხოველია ექონალი-კოცირი იპლდის ხანსა მტყველებს შოამომავლობითი ატროფირების და ინსტიპალიტური უპრატესობის გამომდავანების გზით. შენ პირუტყვი ხარ და მე მტყველი!» უნდა შეგარდღილი უქმარბების ლოკეოზობისათვის აკომბინო — გამართება დღი მანკეტი.

ოფიციური დღი: ალკოჰოლისტერ მენცრებგზათა დოქტორია — გინკოლ მელიურთუბუცესი, ზიტარკურ მენცროს კანდატატ — ტარბუნ ზოლოკიანი.

სამეცნიერო ს. წვერთა საუერადღებულ — დისტრტაქიის ჩაგარბის შემხიჯვეში მანკეტ არ გამართება.

დღეა მატროსა აჩქოლ. დღეა ცველა და მარო თუწებთან მფრთხი ვაიხა და ძმის — აატარა როლანდ ლუგას მისი გამოცდაზე ჩაყარბის გამო ნუშტის ვაყოლავებს მათსავეზის მერ ქ. თხოლისა ვეზის სადგურში აოხოლი-სოხის ნატარბულზე.

დასაქმება: ქ. ვანი, ჩელესუნებლის სახელობის სანატორიუმში, 3 აგვარტადან 1 სექტემბრამდე.

ჩვენს ვაგის ქვედათავია თერამეტრ კლასი ოქმის კალზე. ვიხივთ მხოლოდ სანარბო ჭები სანამ უმაღლესში უგამოდოდ მტროს. რადგან ხსენებული ოქმის ჭელი მას მღებული აქვს არაკანონიერი ქ. ვარდა მხისა, ვიხივთ სადუქლიანად უწეობი ჩვენი შვილის ცოდნა და რეპლიკირი დაზრუნებულ იქნას დაწვებილანი.

აღფრთხილი მფრთხილბი

ერთი თვის სწრაფი, ზაღან სიხვე რომ ილი, ერთი კასი ჩემგან მარჩინი აილი. მე ბეჭერი შეუდარირ მქონდა და ის კასი ოთხი შურერი გადაცოდა ჩემზე.

ცხლა ზაღანს ვიხივთ ის საზღადი კასი რომისკე ქვანა, რომ ის ოთხი შურერი თვის დეაინირი დუგბრჭუნებს.

ის კასი სოტა მადლდა კარანა ქოჩორი, ჩემსავით სუ ლეორბე ასეია.

მეჩარბერე იხიხილდა

ინტერესული
დავაჯავიოთი სავსაძრ წინმამართიქქქ

ტრანსპორტის მობრობის გაუმჯობესების მიზნით, წინადადებათი ვიძლევი დამოკლებითი გამოკრას შემდეგი საგანო ჩინებნი:



სანაპიროზო
მძლოლი! არ დაეჯავო შევაკრებულ წვაილს.



წოკიათი ძოჯავი
მძლოლი, ოქვენი სიკოცელუ ხაფრისოხია. უაწარავენი სხლა უბალოფეხიო დანგრევაზე მითი გარ ხახლს.

სამოლო!

$$2 \times 2 = 4$$

$$3 \times 3 = 9$$

$$2 \times 4 = 8$$

$$5 \times 3 = 15$$

$$15 - 3 = 12$$

$$3 + 2 = 5$$

$$5 - 1 = 4$$

სომედი ძოჯავი
საქვი! კონსტრუქტორები და ტრაქტორიოფეხები, მუჯარათობას ზურდის დაბრბუნებამდე ვაიმეოფეხი არიო. მტკარული მოქმედებანი.

9

სომედი ძოჯავი
საქვი! მძლოლი, თუ მოვარდი არ ხარ, ამა, თქვენი, რა სწერია აქ, 6 თუ 9?

ბიკადავანი

ორი კვირის ყაღბი ცნობა ვახოვე მამაკაც ექიმს, ბიულეტენს «სინაგრისთვის» დააწერა «ქლექი».

იგვის თვლით შევიკერდი იმ ქალადის შემდგენს, შეგემინდა, ვაევიტცი, მივაშურე რენტგენს.

გამაშუტეს, სუფთა ხარო, — მისწვდებენ, ალბათ, ლამის არის გამაგეოინ, ან მომივია დამწლა.

რომცე არ მქონდეს, სულ ერთია გამიჩინდება ქლექი, ვაპ, რა ვუთხობა ასეთ მამაკაცს და აწმარ ექიმს.

ფ. დავლაძე



ნან. ბ. ტრახთავისა

შუშანიკას წამრება

შეკვივავის განყოფილებაში

— შერლო, «მაროს ტირილი» გაქვთ?

— არა გვაქვს.

— «ბესსალომისა და მურმანის ღღერტი»...

— არა გვაქვს...

— «სიმღერა რუსთავეზე»?

— არა გვაქვს.

— იქნებ კარგარითელის რომანსები გაქვთ?

— ა — რა გვაქვს.

— მამ იქნებ «ისევ შენ და ისევ შენა» გაქვთ?

— ქალბატონო, არ გეხმით, რომ ისმებრე არა გაეძებს «ტომავი» გვაქვს, ვაიარტო...

ფარდა ბუნებისათვის



სომედი ძოჯავი
უგარბილად დამარკო მძლოლებო, ახდენ ხანს რად დგახარო? დამარკო შექვენი მანქანა: ის წოქოლ შეუტარება სატელეფონო კოხსაია.

ინტერტუტორი ომხმბ ბღვამიბ

მანათლენ სოხუმის სემზრეობა

ამა წლის გასულ კვირას შედგა ზოოპარკის ცხოველთა და ფრინველთა ღია კრება. კრება ღია იყო იმდენად, რამდენადაც ყოველი მონაწილის გალია ღია იყო და ღონისძიებაც ღია ცის ქვეშ ტარდებოდა.

მხეცებს შორის დისციპლინის დარღვევისა, კარიერიზმისა, ბიუროკრატიზმისა და სხვა ვადმონაშთების შესახებ მოხსენება გააკეთა ნიანგმა.

— იმ დროს, — თქვა მან, — როდესაც ქუჩებში საყვირების ხმაც მიწყდა და ლოთებიც კი გადაევიწყნენ ხმაურს, ღონი კვლავ ღრიალებს და დებოშს ტეხს. (ყველამ ყურები ცქციტა. არაფერ ელოდა ღონის კრიტიკას.) მას, როგორც ჩანს, თავი ისევ ტყეში ჰგონია. თავისი ხმაურით იგი ძილს უფრთხობს თერთმეტსართულიანი სახლის მცხოვრებლებს. არაფერს ვიტყვი ტურასა და აფთარზე, რომლებიც ადგილობრივი მნიშვნელობის ხმაურს ტეხენ. ჩვენ ვურჩევთ ღონს, ღამის 12 საათამდე მოათავოს რაც საღრიალო აქვს.

— კი მაგრამ, მიზეზს რატომ არ კითხულობთ, რა მალრიალებს? — წაიხურჩულა ღომმა, მაგრამ ყური არ ათხოვეს.

— აი, ვთქვათ, აქლემი. თითქოს უწყინარი ცხოველია, მაგრამ აქვს ერთი ხულიგნური ჩვეულება: დგას და გამვლელ-გამომვლელს უსირცხვილოდ აფურთხებს. რას გავს ეს? რუსთაველის პროსპექტზე ხომ არ ჰგონია თავი?

— აქლემი უდაბნოს შორეული რაიონიდანაა, — დაძვინჯა სანსახური გაუწია აქლემს ფოცხვერმა.

— მერე, ამდენი ხანია ქალაქშია და ზოგიერთი სტუდენტისგან ზრდილობა ვერ ისწავლა? სპილოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ანხელა მხეცი ისე ამჩატდება, რომ ხორთუმით წყალს იგროვებს და მნახველებს წუწავს.

— იმაზე რატომ არ ლაპარაკობთ, ოთხგვერდიანი რაიონული გაზეთი რომ შემაქამეს ახალგაზრდებმა. — ცრემლები მოერია სპილოს.

— რა ვუყოთ, ეს ზოგიერთი ახალგაზრდის შეუზნებლობაზე მეტყველებს. შენ შენი წონა და სიმძიმე გაქვს. ანდა, რა მოსაწონია მიმუნების საქციელი: მნახველებს ათასნაირად ემანჭებიან, ენას უყოფენ და ზურგს აქცევენ. ეს რა მაიმუნობაა! სანწუხარო ის არის, რომ ასეთი უზრდელობით გამოირჩევიან ადამიანის მსგავსი მაიმუნებიც. ბეჭემოტმა და თეთრმა დათვმა ახალი „ზრდილობა“ გამოავლინეს: მნახველების მიღებაზე უარს ამბობენ და აუზებში იმალებიან. ამას არ იკადრებს ყველაზე დიდი ბიუროკრატიც კი.

ამ შედარებაზე თეთრ დათვს შერცხვა და ყურებამდე გაწითლდა. ბეჭემოტმა კი ნიანგს რეპლიკა ესროლა ცხვირში: — იქნებ თქვენ უფრო გეხებოდეთ ეს შენიშვნაო. — მაგრამ ნიანგს რეგლამენტი ეწურებოდა და არ უპასუხა.

— არც სისუფთავის საქმე დგას კარგად. — განაგრძობდა ორატორი. — გალიებში ანტისანიტარიაა. ბეჭემოტი ისე ყარს, ვერ მიეკარები, აირწინალის გაკეთებას ხომ არ მოვთხოვთ მნახველებს?

— რას აკეთებს ღირეკცია?! — აფთარივით წამოიქრა ვეფხვი.

— ყველაფერს ღირეკციას ხომ ვერ დავავალებთ. ჩვენ უნდა გვეკონდეს ჩვენი შინაგანი კულტურა. მაგალითად, გარეულ ღორს სულ გადაჩიქნილი აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

— საქმელი არ მყოფნის და ვეძებ! — იმართლა თავი ღორმა.

— სულ ასეთი ღორი უნდა იყო?! — უსაყვედურა სვაგმა.

— რა ჰქნას, მაგის წილ ულუფას მომვლელები შინაურ ღორებს უყოფენ, — წამოაყრანტალა ყვავმა, რომელიც ხეზე იჯდა და ყველაფერს ხედავდა.

— მომბეზრდა ერთი და იგივე მენიუ: ყოველდღე გაყინული ხორცი და ბუზები. — აბუზუნდა გამგელებული დათვი.

— რა ვუყოთ, რესტორნებშიც გაყინულ ხორცს ჰამენ. — დაამშვიდეს აქეთ-იქიდან.

— არა, მხეცებო, ეს ვერ გაგვამართლებს, — ბანზე აგდებდა სიტყვას ნიანგი, — მე მგონია, ასეთ უწყესრიგობას, უხეშობას და უსუფთაობას თავისი ღრმა ფესვები აქვს. მაგალითად, კუ ჩამორჩა მოვლენებს და ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელივით საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა. ჟირაფს თავი მალლა უჭირავს და მთლიანად გაყოფილებულ ბიუროკრატს დაემსგავსა. მე-ლია ხელს არ იღებს მექრთამეობასა და კარიერიზმზე. კენგურუ მეცნიერების კანდიდატივით სულ ჩანთით დადის და თავის ირგვლივ მეცნიერულ ატმოსფეროს იქმნის. პინგვინები ისე შეეჩვივნენ ყველაფერზე თავის ქნევას, რომ ყოველგვარ მოსაზრებაზე უპრინციპო მუშაკივით თავს აკანტურებენ (პინგვინებმა ამ შენიშვნაზეც თავი დააქნიეს).

მომხსენებელმა გააკრიტიკა თუთიყუშიც. პლაგიატობა დასწამა მას. — სხვის ნათქვამს რომ იმეორებ, კომპოზიტორთა კავშირში ხომ არა ხარო! ამ სიტყვებით საქვეყნოდ მოსჭრა თავი თუთიყუშს. მგლის თავზეც წაიკითხეს სახარება, მაგრამ იგი მაინც ტყისკენ იცქირებოდა.


— თითქოს პატარა ამბავია, — განაგრძობდა ორატორი, — მაგრამ ცუდად დგას გარეგანი შემკულობის საქმეც. მაგალითად, რა დანიშნულება აქვს ირმის რქებს?

— არავითარი. ჩვენ ვიცით შემთხვევებიც, თუ როგორ დალუბა რქებმა ირემი, — ჩაუხორთუმა ენამოსწრებულმა სპილომ.

— ასევე მეტისმეტად ფუქსავატობს ფარშავანგი. მასზე ანონიმური წერილიც კი შემოვიდა: ძალიან კეკლუტობს, თავის კუდს იქით არ იხედებო. მე მეტსაც გეტყვით. მაგალითად, ზებრა ფორმალისმში გადაიქრა, აჭყვა ულტრამოდერნისტულ სტილს და მოდის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აკრულდა. მეტი კი არ უნდათ რუსთაველის „სტილიაგებს“.

— მე რომ მაკრიტიკებთ, ვეფხვი ჩემზე უფრო აკრელებული არააო? — წამოსცდა ზებრას, მაგრამ რეპლიკა ჩაახშეს ზემოდან.

ცხოველებს შორის გაიმართა გაცხოველებული კამათი. ბევრმა მიიღო კრიტიკა, ბევრს ძალით მიაღებინეს. ქამელეონი არ გაუკრიტიკებიათ, რადგან ფერს იცვლიდა და შეუმჩნეველი რჩებოდა. მთელი კრების მანძილზე კურდღელს რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა. ღომმა ღრიალისათვის ბოდიში მოიხადა ღრიალით და წინადადება წამოაყენა ზოოპარკის ღირეკცია შეეყვანათ საქმის კურსში. კუმაც ფეხი გამოჰყო და წინადადება გავიდა ხმის უმრავლესობით. ღლის წესრიგი ამოიწურა და კრების მონაწილეები თავთავიანთ გალიებში წავიდ-წამოვიდნენ ცნობისმოყვარე მნახველთა მისაღებად.



კვირის



რატომ არის მოწყენილი ტერეზია?
— იმდენჯერ დაიკლო წლავანება, რომ
ალარ ეყო პენსიის დანიშვნისათვის.

ძილდაკარგულმა მეუღლეს ვთხოვე წამალი რამე ძილის მომგვრელი, ფხენილის მაგივრად მან მომაწოდა „ამურის ტალღა“ — რომანი ვრცელი. კარგად არც მქონდა იგი გაშლილი, რომ მომერია საღათას ძილი. მწერლებო, აზრად არა მქონია თქვენი გაკიცხვა — გაქიაქება, მაგრამ მწყინს — წიგნის მალაზიები რომ გაგვიხადეთ აფთიაქებად. თარგმანი მ. ქარჩავასი



ნახ. ე. ბერძენიშვილისა



ზოგიერთ კალაქსიაში:

რედ. თანამშრომელი: — პატივცემულო რედაქტორო, ან წერილის ავტორი იწერება — მესხიერება დამეკარგა და რას მირჩევთ, როგორ ვიმკურნალო... მივწეროთ პასუხი?
რედაქტორი: — არ არის საჭირო. პასუხი რომ მივწეროთ, ალარ ემახსოვრება წერილი რომ გამოვვიგზავნა, და გაუკვირდება!

— ხად გაგიწევია ამ დილაუთენია, სარდიონ?
— წუნეთისაკენ. ამბობენ, წყალი ჭირსო და იქნებ იქ მაინც ვიშოვნო წყალგაურეველი ღვინო.



უტექსტო ხუმრობა



ნახ. ნ. მალაზონიასი

რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე. | სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. კელიძე. | საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალ „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42 ტელ. 3-10-49

გამომც. № 15, ხელმოწ. დასაბ. 9/VIII-1957 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ზეგვ. № 928. უკ 02478. ტირ. 30.000.

ვახუშტის ქუჩაზე, მტკვრის სანაპიროსთან ყრიან ნაგავს, რის
გაშოც, როგორც თვით ქუჩაზე, ასევე ორჯონიკიძის სახ. კულტური-
სა და დასვენების ცენტრალურ პარკში შმორის სუნი ტრიალებს.

ქართული
ბიულეტენი

— რა მოგართვათ?
— ჯერჯერობით სასწრაფოდ ხუთი აირწინალი!

